30 სეკტემბერს, (12 ოკტომბერს) 1866. № 31. პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| --- | --- |
| ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან. |
| 10-ის თვისა — 6 — | — — — 5 — |
| ნახევრის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ:

ტფილისში „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპეკტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

## ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

### ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ხელის-მოწერა „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔᲓ" ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔ ᲜᲣᲛᲠᲘᲓᲐᲛ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

ᲨᲘᲜᲐ-ᲐᲠᲡᲘ: პოლიტიკა. — ფრანცია. — ანგლია. — პრუსსია. — იტალია. — ოსმალო. საბერძნეთი. — ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი. — ახალ-გაზდა დედებს და ყმაწვილს ქალებს. — პარიჟი ამერიკაში.

### ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

**ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.** მარკიზ დე-მუტიეს და გრაფის დე-სარტიჟის პროეკტები. პარიჟიდამ სანაციონალო გაზეთში სწერენ, 10 სეკტემბერს, შემდეგს ცნობასა: „ახალი მინისტრი ჯერ კიდევ არ მიდის კონსტანტინოპოლიდამ ფრანციაში, იმისთვის, რომ უკმაყოფილება აღიძრა კარანტინის გამო, რომლის კანონებსაც უნდა დამორჩილებოდნენ ყველა ხომალდები, ანგლიის ხომალდების გარდა. მაგრამ ამის გარდა კიდევ სხვა უფრო სამძიმო მიზეზებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც აბრკოლებენ მუტიეს გასვლას კონსტანტინოპოლიდამ. საქმე იმაშია, რომ მარკიზმა დე-მუტიემ წარადგინა პროეკტი. ამ პროეკტში ის ურჩევს, რომ იმ ოსმალოს მაზრებიდამ, რომლებშიაც ქრისტიანები სახლობენ, შეადგინონ ცალკე სამთავრო პორტის დამოკიდებულების ქვეშ. ერთის სიტყვით ახალი სამთავრო, რომელსაც შეადგენენ ეპირი, თესსალია, კანდია და სხვ., უნდა დაარსდეს დუნაის სამთავროების გვარად. ანგლიის მთაირობა თანახმაა მარკიზ-დე-მუტიეს პროეკტზედ. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ოსმალოს მთავრობამ მისცა თავის კამმისარს, მუსტაფა-ფაშას, იმისთანა მშვიდობიანი განკარგულებანი, რომ ის უნდა მოექცეს კანდიის განდგომილებს გულ-ლმობიერად. — გრაფი დე-სარტიჟი რომიდამ მალე უნდა წავიდეს ბერლინს. მინამ ის ცდილობს შეაგონოს პაპის მთავრობას, რომ იმან მოახდინოს თავის მაზრაში რადიკალური (ძირითადი) ცვლილება, მაგრამ, როგორც სჩანს, იმისი მეცადინეობა ნაყოფს ვერ გამოიღებს. ფრანციის მთავრობა ითხოვს, რომ ყველა სამოქალაქო მოხელეობა სასულიერო კაცების მაგივრად გადასცენ ერის კაცებს და დელეგატებიც შესცვალონ პრეფეკტურებად. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ფრანციის მთავრობას ისიც კი უნდა, რომ ყველა მინისტრები, სტატსკი სეკრეტრის გარდა, ერის კაცები იყვნენ. პროეკტის აზრით სჯულის დამდები და მოსამართლე მთავრობანი უნდა იყვნენ ერთი და იგინივე პაპის მაზრაში და იტალიის საკაროლოში, ასე რომ იტალიის ადვოკატებს (ვექილებს) შეეძლოთ დაცვა პროცესსისა (საქმის წარმოებისა) რომის სამსაჯულოში და რომის ადვოკატებს — იტალიის სამსაჯულოში. პაპის ქვეშევრდომებს ნება უნდა ჰქონდეთ, რომ ისინი შევიდნენ იტალიის კაროლის სამსახურში. ერთის სიტყვით სარტიჟის პროეკტით პაპის მაზრა უნდა განირჩეს იტალიის საკაროლოდამ მხოლოდ იმითი, რომ იმას ეყოლება საკუთარი მმართველი და ექნება საკუთარი ფინანსი. სხვაფრივ კი ყოვლის ფერში გაუთანასწორდება ის იტალიას.

— პარიჟი, 6 (18) სეკტემბერს. იმპერატორის ნაპოლეონის ადუტანტი, ღენერალი კასტელნო, 5 (17) სეკტემბერს, გამოვიდა პარიჟიდამ და წავიდა სან-ნაზარს, აქედამ ის უნდა წავიდეს მეხიკას საფოშტო ცეცხლის გემზედ, რომელსაც ჰქვიან „იმპერატრიცა ევგენია". თუმცა მთავრობის გაზეთები უარს არიან, მაგრამ სხვა ევროპის გაზეთები კი ამტკიცებენ, რომ კასტელნოს წასვლით იმპერატორს ნაპოლეონს უნდაო თავისი ჯარი სრულიად გამოიყვანოს მეხიკიდამ. მაგალითად პარიჟელი კორრესპონდენტი გაზეთის „Nord" ნამდვილად გვაცნობებს, რომ ღენერალი კასტელნო მიდის იმ განზრახვით მეხიკაში, რომ მთელი ფრანციის ჯარი გამოიყვანოს. ხმა არის, ვითომც მთელი კორპუსი მეხიკის ჯარისა ერთად გამოვა და ამის გამო მთელი ესკადრა ხომალდებისა მოუნდება ამდენს ჯარსა. ამ სახით იმპერატორის ნაპოლეონის ადუტანტის გამგზავრებას ის აზრი აქვს, რომ მოსპოს ფრანციის გარევა მეხიკის სახელმწიფო საქმეში; გარდა ამისა კასტელნო იმასაც უნდა ეცადოს, რომ კარგათ დააწყოს სახელმწიფო საქმე მეხიკის იმპერიისა და მეხიკის იმპერიას არ დაჰჭირდეს გარეშე ხელმწიფის შემწეობა.

**ᲐᲜᲒᲚᲘᲐ.** ანგლიის გაზეთების აზრი რუსეთის და ამერიკის დაახლოვებაზედ ერთი-ერთმანეთში. ლონდონის გაზეთის Globe სიტყვებით, ანგლიაში სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, რომ ამერიკის შეერთებულს შტატებსა და რუსეთს შუა მეგობრული ურთიერთობა დამკვიდრდა. გაჭირვების დროს თუ ამერიკასა და რუსეთს მოუხდათ ერთად მოქმედება, უეჭველია რუსეთი იმდენს სარგებლობას ვერ მისცემს ამერიკას, რამდენსაც ამერიკა რუსეთსა. რუსეთმა რომ განიზრახოს დიდის ოკეანის დაჭერა იმ რიგათ, როგორც ფინის უბე ხელში ჩაიგდო, მაშინ ჩრდილოეთელი ამერიკელები მეგობრობის მაგივრად მტრობას დაუწყებენ.

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ.** ფენიელების მოქმედება შეერთებულს შტატებში უწინდულათ არის ანგლიელებისთვის ძლიერ სასაშიშრო. ანგლიის მმართებლობა ყოველ-დღე ჰგზავნის ჯარს კანადას. მინამ ეს ჯარი ჯერ არ მისულა ამერიკელს სამფლობელოში, ანგლიის ღენერალ-გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება, რომ გაუადვილოს მობილიზაცია ადგილობრივს მილიციას და ვოლონტერის პოლკებს. როგორც ღენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს მოხსენებაში გამოცხადებულია, ერთის დღე-და-ღამის განმავლობაში ოცდა ათი ათასი ჯარის კაცი შეიძლება, რომ გამოეწყოსო სალაშქროთ.

— შეერთებულის შტატების პრეზიდენტი დასავლეთის შტატებში კიდევ განაგრძობს მოგზაურობას. ის ყოველგან ამბობს საპოლიტიკო სიტყვებს, რომლებსაც დემოკრატები აღტაცებით ისმენენ და რადიკალები კი სტვენით. აქ საქმე განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ ახლა აღრჩევის დრო დადგა და ამერიკის ორი პარტია შეებრძოლა ერთი-ერთმანეთს. სამს სეკტემბერს ფილადელფიაში შეგროვდა კონვენტი, სადაც იყვნენ ღენერლები: ბოტლერი, ბორნსაიდი, დუგლასი და სხვები. სენატორმა ჩანდლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ამტყუნებდა პრეზიდენტს ჯონსონს და აცხადებდა, რომ ჯონსონი პასუხის-გებაში მიეცემა, თუ ის არ მოიქცაო სჯულისამებრ. ძნელი გამოსაცნობია, რომელს პარტიას უფრო მეტი ხმა ექნება მომავალს კონგრესში. ვერმონტის, მენის და მასსაჩუზეტის შტატებმა ამოირჩიეს რესპუბლიკელები; მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ დამტკიცდება, თუ რომელი დასძლევს, ესე იგი ჯერ არ იციან მტკიცედ აღსრულდება თუ არა მონაობის გაუქმება ყოველის კანონიერის შედგენით, რომელიც მისდევს ამგვარს გაუქმებას. იქნება ისეც მოხდეს, რომ ჯონსონმა და დემოკრატიის პარტიამ აჯობონ, რომელნიც მტკიცედ არ დასდევენ იმ სჯულის აღსრულებას, რომლის გამოც წინანდელი ომი აღიძრა.

**ᲞᲠᲣᲡᲡᲘᲐ.** ამ ჟამად ბერლინში მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ როგორმე კარგი სადილი მოუმზადონ პრუსსიის ჯარს, რომელიც ამ ცოტას ხანს ბერლინში შევა. ამ სადილისთვის დიდი მზადება აქვთ. სამუნიციპალო (საქალაქო) რჩევა მუდამ შეყრილია და არც ერთს წამს მოცალება არა აქვს. კამმისია აღარჩევს საუკეთესო ლამაზს ახალ-გაზდა ქალებს, რომლებმაც ყვავილით უნდა მოუფინონ გზები ჯარებსა. ბრანდემბურგის ალაყაფის კარებიდამ კაროლის სასახლემდე სატრიუმფო გუმბათი უნდა აღაგონ. ოცდა ხუთი ათას ჯარის კაცს ქალაქი ბერლინი უნდა გაუმასპინძლდეს. დიდს საგიმნასტიკო დარბაზში სახალხო სუფრა უნდა გაშალონ კაროლისათვის; ამ ზალაში რამოდენიმე ათასი კაცი დაეტევა. იქ უნდა მიიწვიონ სამი ათასი ჯარის კაცი. კაროლის სუფრაზე ათასი კაცი სალდათი, აფიცერი და ღენერალი ისხდებიან. ამისთანა ამბავი ჯერ არ მომხდარა პრუსსიაში. გამოანგარიშებულია, რომ სადილი დაჯდება ორმოცდა ათი ათასს ტალერად. (ეს ფული შეადგენს ორმოცდა ათი ათასს მანეთამდის). სხვა ჯარებს კი სხვა და სხვა კვარტალებში აჭმევენ სადილსა. ჯერ სხვა რიგათ უნდოდათ გამასპინძლება: უნდოდათ, რომ თითო თითო ცოტათ-შეძლე ოჯახს ოთხოთხი სალდათი და აფიცერი მიეწვია; ამ სახით ხალხი და არმია ძმურს სიყვარულს გამოუცხადებდნენ ერთი-ერთმანეთს. საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა, რომ ბერლინის ლანდვერი, რომელიც ასე ძლიერ დამარცხდა ლანგელზალცის ბრძოლაში, არ გამხდარა მონაწილე ამ შექცევაში და სხვა ჯარებთან ერთად ვერ შევა ბერლინში.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.** ფლორენცია, 3 (15) სეკტემბერს. როგორც სჩანს, იტალიასაც სურს გააკეთოს თავის ჯარის დაწყობილება პრუსსიის სამხედრო რიგისამებრ. გაზეთი Italie სხვათა შორის ამბობს, რომ თუმცა პრუსსიის სამხედრო წესი არ შეიძლება, რომ დაწვრილებით ყველა ევროპის სახელმწიფოებს გამოადგეს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში არც ერთი ხალხი და არც ერთი ქვეყანა იმისთანა არ უნდა იპოვებოდეს, რომელსაც დაახლოვებით მაინც არ არგოს ამ წესმა. ამის გამო მით უფრო უნდა სურდეს სახელმწიფოს ამ სამხედრო წესის მიღება, რომ იმის მიღებით სამხედრო ხარჯი ძალიან შემცირდება და თვით სახელმწიფოს არც ერთი იმისთანა ძალა არ დააკლდება, რომელიც უშიშარს ჰყოფს იმის შინა და გარეგანს მდგომარეობას. მაშასადამე ამ გვარის წესის მიღებით სახელმწიფო ორს კარგს განზრახვას შეასრულებს: ერთის მხრით იმას შეუმცირდება ხარჯი და მეორეს მხრით ჯარითაც ძალიან ძლიერი შეიქნება. „ფლორენტინის ფურცელიც" ზემოხსენებულის სამხედრო სისტემის განხილვაში ბევრს იმისთანა მხარეს უჩვენებს ამ სისტემისას, რომელნიც ძალიან საჭირონი არიან. გაზეთი Italie ამბობს, რომ ამ სისტემას შეუძლიანო შექმნას მთელი ხალხი მხნე მეომრად. თუმცა ეს სიმხნევე არ არის საჭირო ახლანდელის განათლების გასავრცელებლად; მაგრამ მინამ ევროპა იქნება ამავე მდგომარეობაში, ესე იგი მინამ ძალა არ დაეხსნება კანონიერის სიმართლის დაჩაგვრას, საჭიროა, რომ ვიზრუნვოთ ყოველთვის ჩვენის თავის დასაცველად.

— რადგანაც ვენეციის გადაცემის დრო მოახლოვდა, ამის გამო გაზეთი Opinion აცხადებს სხვათა შორის შემდეგს აზრებსა. ფრანციის კამმისარი ვენეციის, ვერონის, მანტუის და სხვა ვენეციის მაზრის ქალაქების ციხეებს გადასცემს სამუნიციპალო (საქალაქო) მთავრობებს, იმავ წამს, როგორც ავსტრიის ჯარები დაიწყებენ იქიდამ გამოსვლას. ვენეციის მაზრა უმთავრობოდ არ დარჩება და იტალიის მმართებლობა იმავე წამს დამყარდება, რაკი ავსტრიის მთავრობა ვენეციის მაზრას დასტოვებს.

— ღენერალს გარიბალდის ჯერ კიდევ არ გაუგზავნია თხოვნა სამსახურიდამ დათხოვნაზედ. იტალიის გაზეთში იმის ახალი ცირკულიარი არის დაბეჭდილი. ამ ცირკულიარში ის აცხადებს, რომ მთელმა ხალხმა გამოიღოს ფული და ამ ფულით გადაიხადონ ის ვალი, რომელიც 1860 წელს აიღეს ვოლონტერებმა. აი რას ამბობს ეს ახალი დოკუმენტი: „1860 წლის ექსპედიციამ და ამის გარდა სხვებმა იმავე გვარმაც, რომელნიც იყვნენ ასე სასარგებლონი სახელმწიფოსთვის, ამაღებინეს ვალი ბევრს კეთილ-შობილის და სულგრძელის მოქალაქეების იმედით.

„ბევრი ამ ვალებთაგანი დღემდისაც არის გადაუხდელი. იმის გადახდა სამშობლო ქვეყნის ვალია. მთელი სესხი ას ხუთი ათასს ფრანკამდის არის, გარდა იმ ფულისა, რომელიც შესწირეს ზოგიერთმა პირებმა და ისინი არ ითხოვენ ამ ფულის დაბრუნებას. რადგანაც ყველა მოქალაქეებს არ შეუძლიანთ მიჰბაძონ იმათ, ამისთვის მე საჭიროდ დავინახე, რომ მივიქცე მთელს იტალიის ხალხთან, რადგანაც ამ ვალის გადაუხდელობა მრავალს

პატრონსანს და კეთილ-შობილს ოჯახს ჩააგდებს სიღარიბეში და იტალიის ხალხის უსინდისობათაც შეიქმნებოდა ამ.

იტალიასა და ავსტრიას შუა დაბრკოლება, რომელიც აღიძრა შერიგების დროს. გაზეთში Ind. Belge, 14 სეკტემბრიდამ, სწერენ: „როგორც სჩანს ვენეციის დაბრუნებაში იტალიას ქომაგობს პრუსსია. ბერლინიდამ ტელეგრამმით გვაცნობებენ, რომ ვენას წავიდა ბარონი ვერტერი იმ განზრახვით, რომ იტალიის მხარე დაიჭიროს იმ ფულის განსაზღვრაში, რომელიც შეადგენს ავსტრიელ-იტალიელს ვალსა. ფლორენციიდამაც იწერებიან, რომ პრუსსიამ ცხადათ მიიღო იტალიის მხარე და წარმოსთქვაო, რომ თუ ავსტრია არ დასთანხმდა ფლორენტინის კაბინეთის პირობებზედ, რომელნიც ეთანხმებიან ციურიხის ტრაქტატების ასრულებას. აგრეთვე ამბობენ, რომ ვენის კონფერენციები გადასდეს შემდეგ კვირამდის, რადგანაც მოხდა ამ გვარი დაბრკოლებანი. მაგრამ აქედამ არავის შეუძლიან გამოიყვანოს, რომ საქმე ცუდათ მიდის. პრუსსიის გარევის გამო იმედი აქვთ, რომ საქმე კეთილად გათავდება იტალიისთვის.

— კელნის გაზეთში პარიჟიდამ სწერენ, 15 სეკტემბერს, შემდეგს ცნობას ფრანციის არმიის გაუმჯობესობაზედ. რაკი ნათლად დამტკიცდა პრუსსიის არმიის იარაღის უკეთესობა და იმის დაწყობილების სიკეთე, ფრანციაში ახლა ყველა ამბობს, რომ ფრანციის არმია უნდა შეიარაღდესო პრუსსიის თოფით და იმ გვარი დაწყობილებაც უნდა დაარსდეს, როგორიც პრუსსიის ჯარს აქვსო. ახალის თოფით შეიარაღება არმიისა გადასწყდა და ოთხმოცი მილლიონი გადასდესო, რომ საფალიდგან გასატენი თოფები დააკეთებინონო. პრუსსიის ჯარის დაწყობილების მიღება კი ჯერ არ გადუწყვეტიათ. გაზეთი France ამბობს, რომ ისევ სჯობს უწინდელი დაწყობილება დარჩესო. ის ამბობს, რომ ის სამხედრო წყობილების რიგი უფრო გამოსადეგია, რომელიც შეესაბამება ხალხის ჩვეულებას, ხასიათს და გონებას. ჩვენ იმაზედ ვერარას ვიტყვით, რომ პრუსსიის სამხედრო დაწყობილების რიგი პრუსსიისთვის ძალიან გამოსადეგია; მაგრამ იმასში კი ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ იგივე რიგი ფრანციისთვისაც საუკეთესო დარჩეს. ჩვენი არმია ახლა იმ რიგათ არის გამოწყობილი, რომ სრულებით შეესაბამება ხალხის ხასიათს. იმისი ხარჯი დიდი არ არის და მუშა ხელები, რომელნიც მიწისა და მოხელეობისთვის არიან საჭირონი, ტყუილათ გაჩერებულნი არ არიან. არც იმას ვიტყვით, რომ ახლანდელი სამხედრო დაწყობილების რიგს რაიმე ნაკლულევანება არ ჰქონდეს. საქმე მხოლოდ იმასშია, რომ ეს რიგი სრულებით გამოსადეგია ხალხისთვის და პრუსსიას კი სრულებით არას არგია. ფრანცუზები იმდენათ სალდათები არ არიან, როგორც სხვანი. ყოველს თავ განწირულს საქმეში წინ მიისწრაფიან. თუ ომი დიდხანს გაგრძელდა, მაშინ კი გული გაუგრილდებათ. ამის გამო, საჭიროა, რომ ახლანდელი რიგი გადავაგდოთ და იმის მაგიერად სხვა შემოვიტანოთ, რადგან ჩვენმა რიგმა ბრწყინვალე ნაყოფი მოგვცა და ახალის რიგის ნაყოფი კი ჯერ საეჭვოა.

**ოსმალო.** გაზეთში „Nord“ სწერენ: მძიმე და მძიმე საქმეები ასეთის სიჩქარით აღიძრვიან ხოლმე ოსმალეთში და ასეთ რიგათ მიდიან, რომ უეჭველად უნდა ვიფიქროთ აღმოსავლეთის საქმეების გადაწყვეტის მოახლოვება. ბევრჯერ წარმოგვითქვამს, რომ აღმოსავლეთში იწყება საზოგადო აღძვრა ხალხებისა. მცირე აზიიდამ გვაცნობებენ, რომ ამ გვარი მღელვარება კიდეც აღმოჩნდაო მახმადიანის ქვეყნებში და ეს იქ მცხოვრების ქრისტიანებისთვის ძლიერ სამუქაროა. ლიბანიაში მძიმე უწესოებანი მომხდარან და თვით ოსმალოს ჯარსაც ვერა გაურიგებია რა. მარონიტებს შეესივნენ დრუზები და თხუთმეტი ქრისტიანი მოჰკლეს. როგორც ამბობენ, თითონ იოსებ ყარამიც მძიმეთ დაჭრილა. ყველა ეს შემთხვევები ცხადათ გვიმტკიცებენ, რომ მარტო ქრისტიანები არ აღჭურვილან თავის შემავიწროებლების საწინააღმდეგოთ: ოსმალოს ორის მხრით ემუქრება ორი სხვა და სხვა სჯულის მტერი: ერთის მხრით აღიჭურვებიან ქრისტიანები, რადგანაც იმათ არ აკმაყოფილებს ოსმალოს მთავრობა თავის პირობისა მებრ; მეორეს მხრით აღიძვრის მახმადიანობა, რომელსაც უნდა ერთხელ კიდევ შეაშინოს ევროპა და რომელსაც ოსმალოს მთავრობა ვერ შეიკავებს. ამ სახით სულთანს ერთის მხრით ემუქრება მახმადიანის ფანატიკობა და მეორეს მხრით ხალხობის გრძნობის გაღვიძება ქრისტიანებში. ქრისტიანობის ხალხობა, რომელიც ოსმალოს მთავრობის ხელშია, არის ძლიერ დაჩაგრული; აგრეთვე სლავიანების ხალხებს უნდათ თავიდამ მოიშორონ საზიზღარი ბატონობა ოსმალეთის იმპერიისა. ევროპას ყველა ეს ამბები სახეში აქვს და კიდეც დღითი-დღე ელის აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტას.

— სანაციონალო გაზეთის კორრესპონდენტი პარიჟიდამ იწერება იმ გადაწყვეტილებებს, რომელნიც დასდვა განდგომილების მოთავეების საზოგადო კრებამ. აი ის გადაწყვეტილებანი: 1) სულთანის უფლება კანდიის კუნძულზედ მუდამ შემავიწროებელი იყო საქრისტიანო ხალხისთვის და მხოლოდ ძალდატანებით ჰქონდა ის მიცემული კრიტიელებს; ამისთვის მთელი საქრისტიანო ხალხი კრიტის კუნძულისა უარ-ჰყოფს სულთანის უფლებას და შეუერთდება საბერძნეთის სახელმწიფოს. 2) უნდა გამოიცეს დეკრეტი ხუთის მილლიონის დრახმის სასესხებლად; ამ ვალის გირაოთ შეირიცხება მიწა და შემოსავალი კუნძულისა; თუ კი შესაძლო იქნება, დასავლეთის ევროპის ბირჟებზედ უეჭველად უნდა აიღონ ზემოხსენებული ვალი. ამბობენ, რომ მუსტაფა-ფაშამ ოცის წლის განმავლობაში, ამოაშრობო ყოველი გვარი წყარო კანდიის კუნძულის შემოსავლისა და ხალხი გაალარიბაო. იმან საკუთარის უფლებით იმდენს მცხოვრებს წაართვა ადგილ-მამული და შერაცხაო სახელმწიფოთ, რომ მარტო ეს მამული იქნებოდაო საკმაო ახალის ვალის გადასახდელათ. განდგომილები თავის საფრებს ისე ამაგრებენო, რომ ოსმალოელები ვერ ბედვენ თავს დაცემას. ბრძოლა არ დაიწყება, მინამ მფარველის სახელმწიფოებიდამ არ მიიღებენ პასუხსა იმ თხოვნაზედ, რომელიც წარუდგინეს კანდიელებმა (კრიტიელებმა). რუსეთი თანახმაა, რომ კანდიელები დააკმაყოფილონ. ხმა არის, რომ ანგლიაც ამ რიგათ აპირებსო მოქცევას. აგრეთვე ელიან, რომ ამერიკის ესკადრაც მისცემს კანდიელებს შემწეობას, რადგან აქამომდე დაკმაყოფილება არ მიუღია ამერიკას თავის კონსულის შეურაცხყოფაზედ, რომელიც მისცა ოსმალომ კიპრის კუნძულზედ. მოწინავე მცველებს ერთი ერთმანეთში მოუხდათ თოფის სროლა. კანდიელებს ოთხი კაცი მოუკლეს, ოსმალოელებს კი ერთი კაცი. მარკიზ-დე-მუტიე, 12 სეკტემბერს, კონსტანტინოპოლიდამ წავიდა ფრანციას. უ. ბანიერმა მიიღო ბძანება, რომ თუ შეიძლება ყოველი გვარი ღონის-ძიება მოიხმაროს ოსმალოს მთავრობასთან და დაარჩენინოს საქმე იმ გვარსავე მდგომარეობაში, მინამ მარკიზ-დე-მუტიე არ მოილაპარაკებს ნაპოლეონთან და არ მიიღებს ახალს განკარგულებას იმისგან.

**საბერძნეთი.** ათინა, 30 აგვისტოს (11 სეკტემბერს). კაროლმა გიორგიმ საქვეყნოდ გაამართლა კანდიელები (კრიტიელები) განდგომისათვის. აი რა თქვა ჰპბუკმა-ხელმწიფემ: „ოსმალომ დაარღვია ტრაქტატები და ამით იმან აღძრა კანდიელები თავის წინააღმდეგ. ჩემის მხრით მე ნება არა მაქვს, რომ ჩემს ქვეშევრდომებს აღვუკრძალო თავის დაჩაგრულის ძმებისადმი შემწეობა. კიდევაც რომ შემეძლოს ამისთანა საქმე, მე მაინც ვერ დავივიწყებ, რომ, გარდა საბერძნეთისა, მე ვარ კაროლი მთელის ელლინის ხალხისა. მე ისევ დავბრუნდები დანიაში და იმ დანიშნულებას კი არ გადუდგები, რომელიც მე მაქვს მონიჭებული. პირველად მე გამოვაცხადე ნეიტრალიტეტობა და მოვიწვიე ხალხი სჯულის ასასრულებლად; მაგრამ ოსმალომ ისევ დაარღვია ის ქრისტიანების შესახებ; ამის გამო არც მე და არც ჩემი ხალხი არ ვიქნებით პასუხის გებაში ახლანდელის ოტტომანის პორტის მოქმედებისთვის.“

# ტელეგრამმები,

პეტერბურგში მიღებული.

**კატანია.** ქალაქის მთავრობამ, კატანიის სანაციონალო გვარდიამ და ზოგიერთის სხვა ქალაქების მთავრობებმა გაგზავნეს ადრესები, რომლებშიაც კიცხვენ პალერმოს არეულობას, აცხადებენ ერთგულობას იტალიის ერთობისადმი, კაროლის ვიკტორ-ემმანუელისა და კონსტიტუციისადმი.

**ტრიესტი,** 9 (21) სეკტემბერს. ათინიდამ მოსული ამბავი, 3 სეკტემბრიდამ, გვაცნობებს, რომ იქ მღელვარება თან-და-თან ძლიერდება იმის გამო, რომ ამ ბოლოს დროს კანდიაზედ შემთხვევა მოხდა.

**კორფუდამ,** 7 (19) სეკტემბერს მოვიდა შემდეგი ტელეგრამმა. „კანდიელი ინსურგენტები (განდგომილები) საბერძნეთის აფიცრების წინამძღოლობით დაეტაკნენ ოსმალოელ-ეგვიპტელს არმიას ოთხის მხრივ და დაამარცხეს. ოსმალოელებს სამი ათასი კაცი მოაკლდათ. ღენერალ-გუბერნატორმა გასცა ბძანება, რომ ქუდზედ ერთი ოსმალოელი, კუნძულის მცხოვრები, შეიარაღდეს.

**მესსინა,** 9 (21) სეკტემბერს. დღეს პალერმოს მივიდნენ იტალიის სამხედრო ხომალდები, რომელნიც ჯარით იყვნენ გავსებულნი. მაშინ კიდევ არ გათავებულიყო ინსურგენტებთან (განდგომილებთან) ბრძოლა. ინსურგენტებმა დირეკტორია (უმაღლესი მთავრობა) დააწესეს. მთავრობის ჯარს უჭირავს საკაროლო სასახლე, აგრეთვე ბანკი, რომელშიაც თექვსმეტი მილლიონი ლირია შენახული.

**ფლორენცია,** 10 (22) სეკტემბერს. აქ გამოაცხადეს, რომ 9 (21) სეკტემბერს იტალიის ჯარი პალერმოში შევიდა. ინსურგენტებს დიდი წინააღმდეგობა არ უჩვენებიათ. ჯარს ბევრი არ უზარალებია. აღდგომილება დაამშვიდეს.

**კონსტანტინოპოლი.** 11 (23) სეკტემბერს. ოსმალოს მთავრობიდამ გამოცემი ამბავი გვაცნობებს, რომ სულთანის ჯარს შეეტაკნენო კანდიელი ინსურგენტები (განდგომილები), მაგრამ ორის დღის ბრძოლის შემდეგ ინსურგენტები დამარცხდნენო: 650 კაცი მოუკლესო და 1,120 კაცი ტყვედ დაირჩინესო სულთანის ჯარებმა.

სირიიდამ კანდიის ინსურგენტებს შეიდი ათასი თოფი გაუგზავნესო და სამასი ბოჩკა წამალი.

კონსტანტინოპოლის არხიეპისკოპოსი სირიის და კილიკიის პატრიარხად დანიშნეს.

ტფილისში მიღებული.

**პეტერბურგი,** 22 სეკტემბერი. მაშინ ავსტრიელ-იტალიელს ტრაქტატს ხელი მოაწერეს. დღეს აქ ხოლერის მოსპობაზედ პარაკლისი გადაიხადეს. ნაპოლეონის სიკვდილი ტყუილი გამოდგა. რუსეთსა და ბუხარიას შუა შერიგება მოხდა. — კანდიის კუნძულზედ შვიდმა ათასმა ქრისტიანის მხედრობამ გადააგდო ზღვისკენ შვიდმეტი ათასი ეგვიპტელი, რომელნიც მიიღეს ოსმალოს გემებზედ.

**პეტერბურგი,** 23 სეკტემბერს. პრუსსია ემუქრება თავისის ელჩის უკან დაბარებას ვენიდამ, თუ ბეისტი ავსტრიის მინისტრად დაინიშნა. ფრანციამ გასწყვიტა ერთობა საბერძნეთთან, რადგანაც იმან ბეჯითი ნეიტრალიტეტობა არ დაიმარხა. ფრანციის და ანგლიის ელჩებსა კანდიაზედ ოსმალოელების მხარე უჭირავთ. ბოლგარიამ უარი სთქვა, რომ ბერძნებთან ერთად იმოქმედოს ოსმალეთის წინააღმდეგ.

# ახალ-გაზდა დედებს და ყმაწვილს ქალებს.

## ყმაწვილების სიცრუვე.

არიან იმისთანა კაცები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სიცრუვე ყმაწვილებს დაბადებიდამ დაჰყვებათ და ბოროტება მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზედ. მაგრამ ვინც კი სწორეთ დაჰკვირვებია ყმაწვილს დაბადებიდამვე და ვისაც კი თვალ-ყური უდევნებია, თუ რა რიგათ გაეხსნება ყმაწვილს კარგი და ცუდი ნაკლულევანებანი, ის ბეჯითად დარწმუნდება, რომ ყმაწვილი არც ცუდი და არც კარგი არ იბადება. სხვა და სხვა გარემოება აძლევს ხოლმე ყმაწვილს სხვა და სხვა ჩვეულებებს, ნიჭს, ღონეს, კარგს და ცუდს თვისებებს. მაშასადამე როგორც სხვა ბოროტება, ისე სიცრუვეც შეეთვისება ყმაწვილებს უფროსებისგან.

ახლა განვიხილოთ თუ რა რიგათ ხდებიან ყმაწვილები ცრუვებად. ყმაწვილში იპოება ორგვარი სიცრუვე: განზრახული (сознательная) და განუზრახავი (безсознательная). ზოგი ყმაწვილი თვითონვე გრძნობს, რომ სტყუის და ზოგმა კი თვითონაც არ იცის, რომ ცრუობს. ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ ის მიზეზები, რომელნიც აღძრავენ ყმაწვილში ამ ორ გვარს სიცრუვეს და უჩვენოთ, თუ რა საშუალებით შეუძლიან გამზდელს გადაჩვიოს ყმაწვილი ამ ორ გვარს სიცრუვესა.

ყმაწვილი ხედავს ვაშლებს, რომელნიც გალებულს შკაფში აწყვია. დედა არიგებს შვილს, რომ იმან იმის უკითხავათ ვაშლები არ გამოიღოს შკაფიდამ. დედა სადღაც წავიდა და შვილმა ვაშლები გამოიღო შკაფიდამ. როცა დედა სახლში დაბრუნდება, ის დასჯის თავის შვილს ვაშლების გამოღებისთვის. ამ დასჯის შემდეგ ყმაწვილი აღუთქვამს დედას, რომ მეორედ აღარ შესცდება. დედა კიდევ ხელ-ახლა წავა სხვაგან და ყმაწვილს კი ისევ მოენატრება შკაფი და ვაშლების გამოღება. იმას აღარ ახსოვს დედის სიტყვები. იმას უნდა ამ ვაშლების შეჭმა და ამის გამო თავის დაპირებასაც ყურად-ღებას არ აქცევს. ყმაწვილს გამოაქვს ვაშლები შკაფიდამ და შჭამს შეუშფოთებლად. იმას აზრშიაც არ მოსდის, რომ ხელ-ახლა სცდება და იმას ისევ გაუწყრება თავისი დედა.

მოვა დედა და ჰკითხავს იმას: „ვაშლები შენ წაიღე თუ არა?“ ყმაწვილს ჯერ ნაცრის ფერი გადაჰკრავს, მერმე გაწითლდება: ამ დროს იმას აგონდება დედის სიტყვები და კიდეც ეშინიან, რომ შეინანოს თავისი შეცდომა. მაგრამ ამასთან ისიც წარმოუდგება, რომ წინათ ის დასაჯა დედამ ამავ საქმისთვის; აგრეთვე უწინდელი ტკივილიც მოაგონდება. ყმაწვილი გაშტერებულია. არ იცის, რა ქნას: კიდეც უნდა, რომ სთქვას, და არც უნდა. დედის მრისხანე სახე არ აძლევს იმას ნებას, რომ გამოუცხადოს თავისი დანაშაულობა. ის გადაწყვეტით სდგას უარზედ და ამბობს, „არ მიქნიაო“. — „მე ვაშლებისთვის ხელიც არ მიხლიაო!“

ყმაწვილმა აქ პირველად სთქვა ტყუილი. ეს პირველად წარმოთქმული სიცრუე ყმაწვილმა მოიხმარა იმ აზრით, რომ დედამ კიდევ არ სცემოს. ამ შემთხვევაში შვილი ყმაწვილია და დედა უფროსი. უფროსმა თავისის წინდაუხედავის მოქმედებით ყმაწვილს ათქმევინა სიცრუვე. იმან აღუკრძალა ყმაწვილს იმისთანა ნივთი, რომელიც არ არის

იმისგან დაფარული და თვით ყმაწვილსაც ჯერ კიდევ იმდენი მოთმენა არა აქვს, რომ უფროსის სიტყვა აასრულოს. ამ დროს მძიმეთ ღელავს ყმაწვილის გონება. ის გრძნობს, რომ უარს ამბობს იმაზედ, რაც მოიქმედა და ლაპარაკობს იმ რიგათ, როგორც აქამომდე არ ულაპარაკნია. ყმაწვილი თავის მოქმედებას სასარცხვინოთ არა სთვლის, მაგრამ უფროსისგან კი უნდა დაფაროს თავისი მოქმედება, იმისთვის რომ თვით უფროსები ამას ითხოვენ, რადგანაც უშლიან ყმაწვილს იმისთანა საქმეებს, რომლის დაშლაც საჭირო არ არის.

კარგია კიდევ, თუ დედა დროზედ მიჰხვდა შეცდომას და ცდილობს, რომ შვილს წარმოათქმევინოს თავისი შეცდომა მაშინ, როდესაც ის ელის დასჯას; ამ შემთხვევაში კიდევ შეიძლება, რომ საქმეს რამე მოუხერხდეს; მაგრამ მაშინ კი საქმე წასულია, როცა დედა მივარდება შვილს ამ სიტყვებით: „შენ ცრუ ხარ!—გალახვა მოგიხდება!“ და სხვ. ამ შემთხვევაში სწორედ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ის ყმაწვილი განზრახ ცრუ შეიქნება. დედა ითხოვს ყმაწვილისგან იმისთანა მოქმედებას, რომელიც ყმაწვილისაგან შეუძლებელია. დედას უნდა, რომ იმისმა შვილმა ხელი არ ახლოს იმას, რაც სულით და გულით უნდა ყმაწვილსა. მოთმინება უფროსებს ეკუთვნის, რადგანაც იმათ ეს თვისება მიუღიათ გამოცდილებით და დარწმუნებით; ყმაწვილს კი მოთმენა არ შეუძლიან. ცხოვრება თავისის მომხიბლავის სხვა და სხვა გვაროვნებითა მიიტაცებს ხოლმე ყმაწვილის გონებას, და იმას არ შეუძლიან მოთმენა, მინამ გამოცდილებით არ ისწავლის ამ მოთმენას.

ამ გვარი მაგალითები შინაურობაში ბევრი იპოვება; ვისაც გაღებულ-შკაფში ვაშლები და ტკბილი საჭმელები არ უწყვია, იმას უეჭველად ბაღი ექნება სავსე ხილითა, კოლოფები გემოვანის საჭმელებითა, ჩაი, შაქარი და ბევრი კიდევ სხვა ნივთები, რომელსაც ყმაწვილი დახარბდება და ეცდება უფროსის უკითხავათ ჩუმათ აიღოს......

წარმოვიდგინოთ კიდევ მეორე შემთხვევა: ყმაწვილი დასაჯეს და ტირის; იმას ეუბნებიან, რომ შებრალება მოითხოვოს; მაგრამ ის თავის თავს არ სთვლის დამნაშავედ, იმას ჯერ არ უნდა სთხოვოს მოტევება უფროსსა; მაგრამ უფროსების წყრომა და მუქარება ათხოვნინებენ იმას შებრალებას უფროსებისგან. ამ შემთხვევაში ყმაწვილი მოქმედებს თავის ნების წინაალმდეგ: ის სიტყვით სხვას ამბობს და აზრში კი სულ სხვა აქვს; იმას სძაგს უფროსი, მაგრამ მაინც ძალას ატანებენ, რომ იმას კარგი გრძნობა გამოუცხადოს. თუმცა ამისთანა შემთხვევა იშვიათად დააწყებინებს ყმაწვილს ცრუ ლაპარაკს, მაგრამ ის მაინც შორს აღარ არის ცრუობაზედ. იმან თუ ერთხელ მოიცრუა ამისთანა მდგომარეობაში, მაშინ საქმე წასულია. ყმაწვილი შემდეგ თანდა-თან მიეჩვევა სიცრუვესა. ზოგჯერ ამაზედ უარესიც მოხდება ხოლმე სახლობაში. უფროსი დასჯის ყმაწვილს და შემდეგ მადლობასაც ათქმევინებს იმ აზრით, რომ ეს დასჯა იმისვე სასიკეთოდ მოხდაო; ამ დროს ყმაწვილი ექვსის წლისაა; ის დასჯის გამო გრძნობს სულიერს და ხორციელს ტკივილსა; დასჯის სარგებლობა და იმისი შემდეგი კი ყმაწვილს ჯერ კიდევ არ ესმის. იმას ჰგონია, რომ უფროსი იმისთვის დასჯის ხოლმე, რომ უფროსს სასიამოვნოდ მიაჩნია ეს დასჯა. ყმაწვილი დაიწყებს თავის გულში ჯავრობას, შესძაგდება უფროსი და კიდეც სურს, რომ უწინააღმდეგოს უფროსსა. წინააღმდეგობასაც მალე ახერხებს; ის მალავს უფროსთან თავის ყოფა-ქცევას და უსირცხვილო სიცრუვე ყმაწყილისა ხშირად შეაფიქრებს უფროსსა. შემდეგ ამისა უფროსი ანუ გამზრდელი ყმაწვილის სათამაშოდ გახდება.

აი სიცრუვე აქ იმისთვის შეეთვისება ყმაწვილს, რომ უფროსი სასტიკად დასჯის ხოლმე იმას. მაგრამ ყმაწვილი კიდევ სხვა რიგად ეჩვევა სიცრუვეს. ეს მოხდება მაშინ, როცა მეტის მეტად გაასათუთებენ ყმაწვილსა. შვილი დარბის და თამაშობს დედის წინ. დედა მეტის სიყვარულით გააშვებინებს შვილს თამაშობას, აიყვანს ხელში და დაუწყებს ყმაწვილს თავზედ ხელის-სმას. „ოჰ, შვილო, რა ცხელი თავი გაქვს, ვაი შენს დედას, რა ნაზი ხარ?—მურაბა ხომ არ გინდა“. ყმაწვილი მართლაც აცხადებს ავათ-მყოფობას და დედა აძლევს სხვა და სხვა ტკბილს საჭმელებსა. ამისთანა ამბავი თუ ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ მოხდა, მაშინ საქმე გათავებულია. ყმაწვილი ნამდვილად ცრუ შეიქნება. რაკი მოუნდება ხოლმე მურაბა და შაქარლამა, იმავ-წამს ყმაწვილი დაიწყებს ოხვრას და კვნესას, იძახის „თავი მტკივა.. ამ გვარი შემთხვევა მრავალია.

განზრახულს სიცრუვისგან უნდა განარჩიოს კაცმა განუზრახავი სიცრუვე. რომელს ყმაწვილსაც ბევრი ზღაპრები მოუსმენია, იმას ფანტაზია (გონების გამოხატულება) ძალიან გახსნილი აქვს. ზოგჯერ ასეთს რამეებს მოიგონებს, რომ ნამდვილად იმისთანა ამბავი შეუძლებელია ქვეყანაზედ, და ამ შემთხვევაში ის ამბობს სიცრუვეს. მაგრამ თვითონ ყმაწვილი კი სრულებით არა გრძნობს თავის სიმტყუვნესა. ამ გვარი ყმაწვილები ძვირად იტყვიან იმისთანა ამბავს, რომ რამე არ მოუმატონ და არ გაადიდონ. ისინი სიზმარში რასმეს შემთხვევაებს ნახვენ ხოლმე და შემდეგ დაიწყებენ ისე ლაპარაკს, რომ თითქო ცხადათ ენახოთ. ამ გვარი ყმაწვილები ხშირად აღიდებენ თავის სწავლას და მოქმედებას. ისინი ჩქარა გახდებიან ხოლმე მოტრაბახენი, მაგრამ სრულებით უნებურად. ამისთანა ყმაწვილს რომ დედამ უთხრას: „ოჰ, შვილო, რა კარგი მეხსიერება და გამოხატულება გაქვს! შენ ჯერ შვიდის წლისა არა ხარ და თორმეტის წლისას შეგიძლიან ჭკუა ისწავლო.“ ამის შემდეგ ეს ყმაწვილიც გეტყვის, რომ „მე თორმეტის წლის ყმაწვილს ვასწავლიდიო“. იქნება მართლა სიზმარში ნახა, რომ ის თორმეტის წლის ყმაწვილს ასწავლიდა, და კიდეც დარწმუნებულია, რომ არ სტყუის.

ახლა საკითხავი ეს არის: რა ღონის ძიება უნდა მოიხმაროს გამზრდელმა, რომ თავის გაზდილი გადააჩვიოს სიცრუვის თქმას. ყველაზედ უფრო კარგი საშუალება ის არის, რომ ყმაწვილი არ დააჩვიოს სიცრუვესა. არ უნდა გაუჯავრდეს შინაურის ჭურჭლის გატეხისთვის და დარიგების აუსრულებლობისთვის. იმან მხოლოდ იქამდის უნდა ადევნოს თვალ-ყური, რომ თვითონ ყმაწვილმა გაიგოს დარიგების სარგებლობა და მოიქცეს გამზრდელის სიტყვისამებრ.... ყმაწვილი არ უნდა დააჩვიო მეტის მეტს ფერაობას და ავმუცლობას. არ უნდა უთხრა ყმაწვილს, რომ „თუ ამასა და ამას აღასრულებ, მურაბას გაჭმევო“. ყმაწვილს უნდა ეგონოს, რომ გემრიელ საჭმელს მაშინ აჭმევთ, როცა თქვენ გექნებათ და როცა არ გექნებათ, მაშინ ვერც ყმაწვილმა უნდა მოითხოვოს. მაგრამ ზოგიერთჯერ იმისთანა შემთხვევაც მოხდება, რომ ყმაწვილი სიცრუის თქმას ვერ ასცილდება. აი მაშინ უნდა გამოვიკვლიოთ, თუ რა რიგათ უნდა მოექცეს იმას გამზრდელი, რომ ცრუ ლაპარაკს გადააჩვიოს.— ჯერ გამზრდელმა უნდა ნამდვილად შეიტყოს, მართლა სტყუის თუ არა ყმაწვილი? მაგალითად ყმაწვილი ამბობს: „მე დღეს ვაშლი ვსჭამე“; მაგრამ გამზრდელმა კი ნამდვილათ იცის, რომ ყმაწვილს არამც თუ დღეს, ერთის კვირის წინათაც ვაშლი არ უჭამია, მაგრამ შეიძლება, რომ ერთის თვის წინათ კი ეჭამა. თუ ეს ყმაწვილი ოთხის წლისა მეტისა არ არის, მაშინ შეიძლება ის ჯერ კარგათ კიდევ ვერ სცნობდეს დროს და მანძილს. მასწავლებელმა გაწყრომის მაგივრად, ამ შემთხვევაში, უნდა აუხსნას კარგათ დროსა და მანძილის გარჩევა. ან ვთქვათ მაგალითად ოთხის წლის ყმაწვილი დაგპირდა რასმე და ვერ აასრულა,—ეს არც არის სიცრუვე იმის მხრით; ამისთვის რომ იმას კიდევ არ შეუძლიან კარგათ მოისაზროს, თუ რა შეუძლიან და რა არა. ამისთვის მასწავლებელს ესეც უნდა ჰქონდეს სახეში და არ გაუჯავრდეს.

თუ სიცრუვე განზრახულია, ესე იგი ყმაწვილი თავის სურვილით ამბობს ტყუილსა და ამ ტყუილით ჰფარავს თავის მოქმედებას, მაშინ კი ძნელია ყმაწვილის გადაჩვევა სიცრუვისაკან.—ამის გამო ძალიან სიფრთხილით უნდა იმას მოპყრობა, რომ ყმაწვილმა გამოაჩინოს თავისი სიცრუვე. თუ გამზრდელმა ნამდვილათ იცის, რომ ყმაწვილმა შეჭამა დაშლილი ხილი, ან გატეხა ის ჭურჭელი, რომლის აღებასაც იმას უშლიდნენ, მაშინ გამზრდელმა პირდაპირ და მშვიდათ უნდა უთხრას, რომ „ეს შენ შეჭამე“ და „ეს შენ გატეხე“. არაოდეს იმან ამ შემთხვევაში კითხვა არ უნდა დაუწყოს ამრიგათ: („ეს შენ შეჭამე თუ არა“? ან „ეს ვინ გატეხა?) თუ გამზრდელმა ნამდვილად არ იცის, ყმაწვილმა იმოქმედა თუ არა აკრძალული საქმე, მაშინ იმან მშვიდობიანად და წყნარად უნდა გამოჰკითხოს ხოლმე იმას ეს ამბავი. ცხარი და ჩქარად კითხვა ყმაწვილს შეაშინებს და ის იმავ წამს უარს იტყვის თავის ნამოქმედარზედ. თუ უფროსი დროს მისცემს ყმაწვილს მოფიქრებისთვის, მაშინ ის არაოდეს ტყუილს არ იტყვის. ხან და ხან ყმაწვილის ცალკე გამოკითხვა ძლიერ მავნებელია. ამისთვის, რომ ნამოქმედარს მძიმე დანაშაულობის სახე ეძლევა და ყმაწვილი ღრმად შეირყევა. იმას ჰგონია, რომ ყველამ იცის იმისი შეცდომა და იმას თავის თვალში ეკარგება თავისთავის ღირსება.

საზოგადოთ აი ამ გვარის წესით შეიძლება, რომ სიცრუვე მოიშალოს ყმაწვილმა და მასწავლებელმა შეიტყოს, ცრუობს თუ არა ისა. გამზრდელმა არაოდეს არ უნდა დასაჯოს ყმაწვილი გალახვით, ანუ სხვა რამე სხეულის ტკივილით. არაოდეს მკაცრად არ უნდა უსაყვედუროს და არც ღრმა სიტყვებით ელაპარაკოს; ამის გამო ყმაწვილებს არაოდეს არ ექნებათ გამზრდელის შიში და ყოველთვის მართლად დაუწყებენ იმას ლაპარაკს. ამის მეტი საშუალება სხვა არა აქვს რა პედაგოგიკას იმ სიცრუვის მოსასპობლათ, რომელიც შესთვისებია ყმაწვილს დასჯის გამო.

---

## სალიტერატურო ნაწილი.

### პარიჟი ამერიკაში.

### თავი XXIII.

ვოლონტერების გამგზავრება.

მე გამოვედი ჩემის შვილებით ყმაწვილების სასწავლებლიდამ. ბოლოს აქ ვსცანი, თუ რაში მდგომარეობდა ამერიკელების დიდება. ქალაქმა სახე გამოიცვალა. სახლები ფლაგებით (ბაირაღებით) მოირთო. ყოველს ფანჯარაზედ ქარი აფრიალებდა წითელს და ცისფერს ზოლებიანს ბაირაღსა, რომელზედაც იჯდა ოცდა-თოთხმეტი ვარსკვლავი. ისინი მოასწავებდნენ შტატების რიცხვსა და აცხადებდნენ კიდეც, რომ კავშირი ისევ შეუცვლელად არსებობსო. ალაგ-ალაგ ძლიერ დიდი აფიშა აცხადებდა ფედერალების (კავშირის მომხრეების) ჯარის დამარცხებას და მოუწოდებდა მოქალაქეებს სამშობლო ქვეყნის დასაცველად. ამ დროს ის იყო მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში. შეიარაღებული რაზმები ერთი-ერთმანეთზედ მობმულები გადიოდნენ ქალაქიდამ საყვირის კვრით და დაფის-ცემით. საყდრები გავსებულნი იყვნენ ვოლონტერებითა. მინამ საომრად წავიდოდნენ, ისინი წინათვე ევედრებოდნენ თავის მამების და პაპების ღმერთსა. ყოველგან ისმოდა სამხედრო სიმღერა და გალობა ღვთის სადიდებლად. მამები, დედები და დები მიჰყვებოდნენ მილიციონერებსა და განამხნევებდნენ; ერთი-ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და აღიპყრობდნენ ზეცისკენ, ჰკოცნიდნენ ერთი-ერთმანეთსა. ეს იყო სწორედ საჯაროსნო ლაშქრობა, სადაც ყოველს კაცს აღტაცებისაგან გულში ალი აქვს მოდებული!

მე შინ საშინლად გულ-აღელვებული დავბრუნდი. როგორც პარიჟელი, მე გავიზარდე შინა-ბრძოლაში და მუდამ არეულობაში; ბევრი შიშიანობა გამომივლია. როცა მომაგონდებოდა ძველებური ამბები, გულს-მილონებდნენ; მაგრამ ამ ჯარის გამგზავრებას შტატს გარეთ, რომელსაც მთელი ხალხი უკან მისდევდა ლოცვა-კურთხევით, ასეთი რამ კეთილშობილური და დიდებული სახე ჰქონდა, რომ მე იმან უნებურად გულში ცეცხლი ამინთო. თვით ის შიშიც, რომლის მისაგებებლათაც ზენრიხი და ალფრედი მიისწრაფოდნენ, არად მიმაჩნდა; რაღაც ჩუმი ხმა ჩამძახოდა, რომ მეც თან გავყოლოდი ჩემს შვილებსა. მე ასე ვეკითხებოდი ჩემს თავს, ხომ მეც უნდა დავიცვა ჩემი კერა და ჩემი სახლობა? განა ამერიკა ის ქვეყანა არ არის, სადაც მე მქონდა ამისთანა ძვირფასი სიმდიდრე და რომელსაც მე ვცნობდი ჩემს სამშობლოდ?

ჩემს კარის წინ ვნახე მთელი ზუავის პოლკი, რომელიც შეგროვდა იმ კვარტალში, სადაც მე ვცხოვრებდი. მოხუცი პოლკოვნიკი ბენ ჯონი შესვეს თეთრს ცხენზედ; ამ ძველმა მოხუცმა დაივიწყა თავისი ქარები, თავისი დაჭრილობა და ახალ-გაზდობას წინ მიუძღოდა საომრად. პოლკოვნიკის გვერდით მიდიოდა უ. როზი კაპიტანის მუნდრით. იმას გარს ეხვია რვა თავის შვილი და ოთხი ლამაზი ყმაწვილი-კაცი ბრინის შვილები. ფოკს მისცეს პარუჩიკობა და ვოლონტერებში ერია. ის რაღასაც ცხარედ ბაასობდა, ხელებს მძიმედ შლიდა, უნდოდა მალე შებრძოლებოდა მტერსა. იმისი გახამებული პერანგი და ზედ შემოხვეული ყელ-სახვევი და აგრეთვე ბურნუთის კოლოფი რაღაც არ უხდებოდა იმისს სამხედრო ტანისამოსს. ამისთანა დრო რომ არ ყოფილიყო, მე იქნება კიდეც დავცინებდი იმას სხვა დროში; მაგრამ ის ამბობდა ასეთის გულ-მხურვალებითა, რომ მე მართლაც ეს კაცი მხნედ მომეჩვენა. ის იყო მოქალაქე, რომელმაც მსხვერპლად შესწირა თავის თავი მამულსა.

მეზობელო, მითხრა მე როზმა, ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს. უფროსებმა უნდა მაგალითი უჩვენონ. ჩვენის ზუავების პოლკისთვის საჭიროა ხირურგი. თქვენ ყველამ ერთ ხმით ამოგირჩიეს და მარტო თქვენი თანხმობაღაა საჭირო.

—მე თანახმა ვარ, წამოვიძახე მე. დიახ, ჩემნო მეგობარნო, მე თქვენთან მოვდივარ. მე გამოვყვები ამ ყმაწვილებს, ვიზრუნვებ ამათზედ და თუ საჭიროება მოითხოვს თქვენთან ერთად ვიომებ მტერთან. გაუმარჯოს კავშირს! გაუმარჯოს ჩვენს მამულს!

ეს ხმა მოიფინა ჯარში. ამაზედ სხვებმა შეჰყვირეს: ღმერთმა აღღეგრძელოს დანიელი! ღმერთმა გაუმარჯოს მაიორს! მე ვიყავი აღტაცებული იმითი, რომ ესე მიალერსა მამაცმა ახალგაზდობამ და დავბრუნდი უკან ამპარტავანი და გახარებული. ახალი სიცოცხლე გამიღვიძდა ჩემს სულში, მე ბედნიერი ვიყავ.

ჟენნი თვალ-ცრემლიანი გადამეხვია მე; მაგრამ იმას არ უნდოდა შაერყივა ჩემი სიმტკიცე და მამაცობა. ის დაჯერებული იყო, რომ მამა უნდა გაჰყვეს თავის შვილს ჯარში და დედა—დარჩეს სახლში. სუსანნამაც თავის მხრით გამოიჩინა გულადობა. იმის სახეზედ კაცი ნათლად სცნობდა სულის მღელვარებას; ის ჩუმად ტუჩების ცმაცუნით რაღაცა საიდუმლო ლოცვას ამბობდა. იმან გაუშტერა თვალები ზეცას; მაგრამ ერთი სიტყვაც არა სთქვა, რომელსაც კი

შეეძლო შეეძრწუნებინა ალფრედი. ის თითონ გვამზადებდა ჩვენ წასასვლელად. აი საყვარელი ქალები! ამათაც კი იციან თავისი მოვალეობა! ამათაც მხურვალედ უყვართ თავისი მამული!

რამდენსამე საათში მე ვიშოვნე დოქტორის ფორმა. როზმა მაჩუქა მე სახირურგო იარაღი. მე ვიყიდე რევოლვერი, ხმალი, ცხენი და სამს საათზედ სრულებით მზათ ვიყავი; ჩვენ იმავე საღამოს ვაპირებდით წასვლას.

წასვლამდის მე არაფერზედ არა ვფიქრობდი; მე ვიყავ სხვა და სხვა აზრებით გატაცებული; მაგრამ როცა უნდა გამოვთხოვოდი ჩემს სახლს, სადაც მე გავატარე ბედნიერებით სავსე დღეები, როგორღაც დავლონდი. მე ისე მეგონა, რომ ერთხელ წავიდოდი აქედგან, ის არის და ის--აღარ მოვბრუნდებოდი. მე ამასაც ვფიქრობდი, რომ ვაი თუ მე მოვბრუნდე და ჩემი ზენრიხი და ალფრედი კი აღარ დაბრუნდნენ ჯარიდგან.

იმ დროს, როცა მე ვიყავი გარემოცული ამ ფიქრებით, შემოვიდა ჩემს ოთახში მოხუცთ პოლკოვნიკი. იმას ჰქონდა ჩემზედ კარგი ზედ-მოქმედება. ეს იყო ერთი იმ მამაცი სალდათთაგანი, რომელიც არ იზოგავს არც თავის და არც სხვის სისხლს. ჩვენ წინამძღვრად იმაზედ საიმედო კაცს ვერ ვიპოვიდით.

—პოლკოვნიკო, უთხარი მე იმას, ჩვენ ახლა მარტოკანი ვართ; მე შემიძლიან თქვენ პირ-და-პირ გელაპარაკოთ და არაფერი არ დაგიმალოთ: გაქვთ რამე იმედი ამ ახლად შეკრებილს ჯარზედ. ვინ არ იცის, რომ აღტაცება ძალიან მშვენიერია; მაგრამ ეს აღტაცება ვერ შეედრება დისციპლინას (წესს). თუმცა ეს ყმაწვილი-კაცები მამაცნი არიან, მაგრამ პირველსავე შეტაკებაში სულ ერთიანად დაგვიხოცავენ.

—მაიორო, გულ-მშვიდათ იყავით, სთქვა ვეტერანმა. მე თუმცა ისეთი სასტიკი არა ვარ, როგორათაც თქვენ, მაგრამ მე მთელი ჩემი სიცოცხლე მიომნია. აბა ერთი ორი თვე გაატარონ მაგათ ვაშინგტონის სიმაგრესთან და ნახ. ვთ, რომ ეგ ვოლონტერები სალდათებად გახდებიან. დისციპლინა, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა ომში; მაგრამ მაგის მოპოვება ადვილად შეუძლიან თვით უცოდინარსაც. ძალა იმაში იმყოფება, რომ კაცმა შტიკი კარგათ დაიმაგროს, ამისთვის იმას უნდა ჰქონდეს მარდი და შეჩვეული ხელი; მაგრამ რა აძლევს სიმარდეს და ძალას ხელს?—სული. რამდენისამე წლის ომი მტერთან საკმაოა, რომ ხალხმა ისწავლოს დისციპლინა ომში და შეეძლოს ბრძოლა მტერთან. მაშინ ორივე მხარეს დარჩებათ ზნეობითი ძალა. ის ჯარი უკეთესია, რომელსაც ეს ზნეობითი ძალა მომეტებული აქვს: საქმეს ეს გადასწყვეტავს. კარგი კადრები, ახალ-გაზდა სალდათები და გამოცდილი ღენერლები—აი რა არის საჭირო. მარტო ახალ-გაზდობას შეუძლიან მხნედ გადალახოს მთები, უსაყვედუროთ დაემორჩილოს, გმირულად დაუხვდეს ყოველს გვარს განსაცდელს, შეუპოვრად შთავარდეს შუა გულს ომში, ღიმილით დაუხვდეს სიკვდილს და გასწიროს თავი მამულისათვის. რამდენათაც ეს ახალ-გაზდობა ერთ-აზროვანია, რამდენათაც მხურვალედ და აღტაცებით უყვარს თავისი მამული, იმდენათ იმის გამარჯვების მოიმედენი უნდა ვიყვნეთ.

თქვენ ღენერლები არა გყავთ, ვსთქვი მე. თქვენი ქვეყანა მშვიდობის ქვეყანაა; იმას მომეტებული ფერმერები და ვაჭრები ჰყავს, მინამ ცეზარები.

—ნუ შესწუხდებით, მომიგო პოლკოვნიკმა, თქვენ ღენერლებიც გყოლებიან. ომი, როგორც რომ ნადირობა, ადვილი ხელობაა. აქ ვინც ყოჩაღია, ის თავდაპირველათვე თავს ისახელებს. წაიკითხეთ ისტორია. ბევრჯელ არის ხოლმე იმისთანა დრო, როდესაც ჩაჰქრებიან ლიტერატურა და ხელოვნება; მაგრამ არც ერთი დრო არა ყოფილა ისეთი, რომ სალდათი არა ყოფილიყოს. კაცსა აქვს სისხლის-წოვნის ინსტიკტი, რომელსაც მშვიდობა შეიკავებს, მაგრამ ძირით კი ვერ ამოჰფხვრის კაცის ბუნებიდგან. იქნება ომი—გმირებიც გამოჩნდებიან. ღმერთმა ინებოს, რომ ხალხმა ისინი ღირსეულად დააფასოს.

—ღმერთმანიცი, ვუთხარი პოლკოვნიკს, თქვენ ომზედ როგორღაც უპატივოთ ლაპარაკობთ.

—ეს იმისთვის, რომ მე გამომიცდია ის, სთქვა იმან დაღონებით. მე კარგათ ვიცი, რა ძვირად დაგვიჯდება ჩვენ ეს სისხლის ღვრა. დაე, დეკლამატორები დასხდნენ ფეხ-მოკეცილები ბუხართან და აქონ ისინი, ვინც ჯარში გაიმარჯვებენ. მე გასაკვირველად მიმაჩნდა იმათი პარადოქსები. ომი არის უდიდესი სენი და უბედურება ხალხისა; ეს არის მტერი შრომისა და თავისუფლებისა, ეს არის ცივილიზაციის დამხობა და დაღუპვა. ვაი იმათ, ვინც ავრცელებენ ქვეყანაზედ ამ უსაძაგლესს სენს; მაგრამ სამჯერ წყეულნი იყვნენ ისინი, რომლებიც გამოიღებენ მოძაკვდინებელს ხელს თავის მამულზედ. ღმერთი შემწეა, ჩვენ იმათ გადუხდით იმათის ბოროტებისთვის. ომით ბევრჯელ დაისჯება უგუნურება და ამპარტავნება.

დაჰკრეს ნაღარა. ამითი გვაცნობეს, რომ ახლა კი უნდა გავემგზავრდეთ. მე ზენრიხსა და ალფრედს ხელი მოვკიდე და ჩამოვედი ძირს. ჟენნი გადაგვეხვია ჩვენ სამივეს. სუსანნა თუმცა ჩაჩუმებული იყო, მაგრამ ძლიერ შეშფოთებული კი იყო. იმან მოგვცა ჩვენ სამთავეს დაბადება და გვითხრა, რომ ჩვენ იმას არ გავშორებოდით. მართას წინათვე ჰქონდა მომზადებული ქადაგება, მაგრამ რასწამ ერთი სიტყვა სთქვა, მაშინვე ტირილი დაიწყო, მოეხვია ზენრიხს, რამდენჯერმე აკოცა. მე ჩამოვართვი იმას ხელი. ის მაშინვე მომვარდა და გადამეხვია ყელზედ. მე საშინლათ შეშფოთებული ვიყავი და არ ვიცოდი, რა უნდა მექნა; ის იყო ვჯდებოდი თუ არა ცხენზედ, სად იყო, სად არა მოვარდა ზამბოც, სასაცილოდ ჩაცმული. იმას შამოერტყა წითელი და ლურჯი სარტყელი, ქუდი ბუმბულით მოერთო, და ხმალი ისე გრძელი შემოერტყა, რომ მიწაზედ დასთრევდა.

—მასსა, მეც თან წამიყვანეთ; მე მამაცი ვ·რ! თუ შავი ტანი მაქვს, სისხლი ხომ წითელი მაქვს, როგორათაც ყოველს კაცს. თუ ჩვენ გამარჯვებამდის არ მომკლეს, იცოდე, რომ ჩვენ მტერს სულ ერთიანად გავჟლეტავ.

რის ტანჯვით და რის ვაი-ვაგლახით დავხსენ თავი ამ საწყალს ნეგრს. მე ვუმტკიცებდი, რომ იმისი წადილი ვერ აღსრულდება. მე ვუთხარი, რომ ვისაც ხუჭუჭი თმა აქვს, ის იმისთვის კი არ არის დაბადებული, რომ სხვასა სცემოს, არამედ მისთვის, რომ ყველამ იმას თავში უკაკუნოს. ტყუილი სიტყვები იყო! მე იმას ვერა გავაგონე რა. სჩანს, რომ იმისი კინკრიხო ვერ მისწვდება ჩვენს მაღალს ფარდის აზრებს და მჭევრ-მეტყველობას (*). მაგრამ ის საწყალი თავის თავს მაინც კაცად რაცხდა; ის უყურებდა თავის თავს, როგორც ქრისტიანეს და მოქალაქეს, თუმცა შავი კანი ჰქონდა. უგუნური! მინამ არ დავემუქარე, ის არ მიდიოდა შინ. მერე კი ტირილით გასწია შინისაკენ. ახლა კი მოვიდა წასვლის დრო. ყველანი რაზმებათ დამწკრივდნენ. მედაფეებმა დაჰკრეს ზორი. ჩვენც დავიძარით ჩვენის ალაგიდგან და შევუდექით გზას.

მინამ მე ჩემს სახლთან ახლოს ვიყავ, მე ვერ გავბედე, რომ უკან მიმეხედნა. მე თვალებში ცრემლები მომერია და არ მინდოდა, რომ ცრემლები გადმომცვივნოდა. მაგრამ ქუჩის მოსაბრუნებელში კი გულმა ველარ მომითმინა, მე მივიხედე ჩემის სახლისკენ: სამი ქალი იქნევდნენ ხელსახოცებს და თვალ-მოურიდებლად გვიყურებდნენ. გული აჩქარებით მიცემდა.

—ღმერთო, შენთვის მომინდვია ყველა, რაც კი მე მიყვარს! ეს პირველად ვტიროდი, ვლოცულობდი და ვპოვებდი ამაში რაღაცა ნუგეშს და სასოებას.

ოთხს საათზედ ჩვენ საომარ რაზმებათ დაგვამწკრივეს. ბრინმა დაგვათვალიერა ჩვენ და მხურვალეს გრძნობით დაგვიწყო მამულზედ ლაპარაკი. ჩვენ ერთხმით შევყვირეთ ბრინს და იმისი ხმა სრულებით დავაყრუვეთ. ამის შემდეგ ყველა მიყუდროვდა, არსად არ ისმოდა ხმაურობა. ყველა ჩაუფიქრდა თავის თავს. ვინ იცის, მე მხოლოდ ერთი მთელს ჯარში ვიყავ აღელვებული. საკვირველი საქმეა. გული არ მიდგებოდა. მე მინდოდა, რომ ერთი ჩქარა შიგ შუა გულს ომში ჩავჭრილვიყავ. შესვენების დროს მე ჩემს ამხანაგებს გავუვლიდი და გამოუვლიდი ხოლმე, ვიცინოდი, ვლაზღანდარობდი და დავცინოდი იმათ, ვისაც ეშინოდათ. მე ყველას ვამხნევებდი და ვპირდებოდი, რომ გაჭირვებაში ყველას მოგეხმარებით მეთქი. მე ომის სურვილმა ამიტანა.

ბიუმბიუგი დამეწია და გაკვირვებით მიყურებდა.

—თქვენ რა კაცი ხართ, მითხრა მე იმან და თან ამოიოხრა. მე დიდათ მაკვირვებს თქვენი სიმხიარულე და შეუშფოთებელი სულის სიდინჯე. თქვენ თითქო მხდალი მოქალაქე იყავით. ახლა შემოგხედოთ კაცმა: თქვენ მამაცი სალდათი ხართ! თქვენ ირლანდიელი ხომ არა ხართ? უთუოდ ძარღვებში გალლიელის სისხლი გიდგათ. ჩვენ საქსონელები ვართ, და ომში ამ სიტყვებით მივდივართ: Devonta morti pectora liberæ. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს არც ეს სიმკვირცხლე და არც ეს რაინდული გრაცია. ღმერთმანი, როცა კაცი თქვენ გიყურებთ, ასე ჰგონია, რომ ომი—დღესასწაულობაა, გაჭირვება და განსაცდელი—სიამოვნება. თქვენ შეგიძლიანთ სიკვდილის სურვილი განუღვიძოთ იმისთანასაც, ვისაც ძალიან დიდათა სძულს იგი.

დაფის დაკვრამ სულ დააყრუვა ჩემი პასუხი. ბიუმბიუგი ტკბილად გადამეხვია მე. ერთი წამის შამდეგ მე დავშორდი ჩემს ძველს მეგობარს და სამუდამოდ დავშორდი.

საღამო მშვენიერი იყო; მთვარე ლამაზად დანათოდა შორის მინდვრებს. წყალი ისვრიდა ვერცხლის ფერს ზვირთებს; მე სიამოვნებით ვიყავ სავსე და მივეცემოდი სხვა და სხვა ოცნებას. დიდ ხანს ასე ვოცნებობდი, მინამ ორი მხედარი არ დამიპირდაპირდა. მე წამოვიწიე და დავინახე ტრუტი (ბიუმბიუგი და ეს ერთად გაიცნო) და დაფიქრებული ბროუნი.

— აქ რას აკეთებთ, შევყვირე მე. რას ნიშნავს ეს დიდი ქუდი, ეს გძელი სამგზავრო ტანთ-საცმელი, ეს ხმალი გვერდზედ ჩამოკიდებული? ეს ხომ არც სალდათის ტანისამოსსა ჰგავს და არც პასტორისას.

— დოქტორო, სთქვა პურიტანმა, ომი არის საძაგელი სენი; ის სასაშიშროა, როგორც სულისათვის, ისე ხორცისათვის; თქვენ ერთზედ ზრუნავთ, ჩვენ მეორეზედ. ჩვენ ისეთივე ექიმები ვართ, როგორათაც თქვენა.

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ მყავნდეს თქვენისთანა ამხანაგი, მივუგე მე. მაგრამ სამხედრო ხელობა ძალიან საძნელოა. ხირურგი ამ ხელობას კიდევ როგორმე მიეჩვევა. რომ მას ხელი არ აუკანკალდეს, გული მაგარი უნდა ჰქონდეს; მაგრამ თქვენ, ტრუტო, რა რიგათ გაუძლებთ დაჭრილების კვნესას, მომაკვდინებლების სასო-წარკვეთილებას.

— ეგ ჩემი ვალია, მიპასუხა იმან; ღმერთი არას გამიჭირვებს, ჰინამ მე სასარგებლო და გამოსადეგი ვიქნები. მე უფლისა ვარ.

— ეტაპი დიდი არ იყო; რვა საათზედ დავდექით. პოლკოვნიკს უნდოდა ჩვენთვის ტარება ესწავლებინა. ეს სწავლება ჩვენთვის უსარგებლო არ იყო. ამისთვის, რომ ახალი პოლკი იქით-და-აქეთ გაბნეულს ცხვრების ჯოგს ჰგავნდა. მამაცი სენტჯონი ულოცავდა ახალ-შეკრებილებს და ცოტ-ცოტათ მიაჩვევდა, რომ იმათ მისჩნევოდათ ის თავის მამათ.

— ნუ დაგვცინით, მაიორო, მითხრა იმან. თვეც არ გაივლის, რომ ჩვენ პრუსსიელებზედ უკეთესნი ვიქმნებით. როდესაც კაცი თავის თავს სალდათს დაარქმევს, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ ის ნახევარ-სალდათათ კიდეც გამხდარა; თქვენ ნახავთ, თუ რა არის ჩვენი არმია. გაშლილს მინდორში დასცეს ბანაკი. ცეცხლი აანთეს, ცხენები თავის ადგილზედ დააბეს და ყველამ დაივახშმა იმით, რაც თან მოიტანა. ახალ-შეკრებილებისთვის გაშლილს მინდორზედ პირველად პურის ჭამა სწორედ დღესასწაულობა იყო. ომს ჯერ არ დაუნატრებია იმათთვის განსვენებით ცხოვრება და საკუთარი კერა თავ-თავიანთ სახლებში.

ვახშამი დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. როცა ვახშამი გაათავეს, ყველამ ქვეშ დაიგ თავ თავისი მოსასხმელები და ჩუმად ისმენდნენ ქადაგებასა. ვახშმის შემდეგ ყვირილს და ხარხარს არ მოჰყოლიან. ჩვენმა შტაბმა ერთი წრე შეადგინა, ტრუტი ჩასდგა ჩვენ შორის, გახსნა ბიბლია და დაიწყო კითხვა ფსალმუნისა, რომელსაც გალობდა თვით დავით მეფე, როდესაც ღმერთმან გამოიხსნა მტრის ხელისაგან.

მინამ ტრუტი იმას კითხულობდა, მე გარეშემო იქით და აქეთ ვიყურებოდი; ყველ აფიცრები ისმენდნენ და ლოცულობდნენ; იმათი თვალები იყვნენ სავსენი გულ-ღმობიერებითა. ჩვენი მინელებული ცეცხლი ანათებდა იმათს სახეებს, რომელნიც იყვნენ სავსენი ღრმა საიდუმლოებითა.

როდესაც ბიბლიის კითხვა გათავდა, მე მივეცი ხელი ტრუტსა და რადგანაც ნება მქონდა, ამისთვის მე დავიარე ყველა როტებ რომ ჩემი შვილები ალფრედი და ზენრიხ მომენახა. მე ისინი ვნახე ორნივე ერთა რომელნიც იწვნენ ერთად მიწაზედ; ისინ იყვნენ თავიანთ მოსასხმელებში გახვეულ და დაბალის ხმით საუბრობდნენ. ნეტა ვი ზედ ლაპარაკობდნენ? მე ვიცოდი, ვისზედა ლაპარაკობდნენ.

— ყმაწვილებო, სალდათი უნდა გაუფ თხილდეს თავის ლონეს; ამის გამო იმან არ ოდს ძილი არ უნდა დააფრთხოს. დამაწვინე თქვენ შუა და დახუჭულის თვალებით გაიე თეთ თქვენს ოცნებაში. ამის შემდეგ მე ს ამოვენებით ვაკოცე ჩემს ორს შვილს, გამო ვეხვიე კარგათ ჩემს მოსასხმელში, ჩამოვიფ რე თვალებზედ ყაბალახი და დავიძინე მშვ დობიანად. გული ისეთ მშვიდობიანათ მქონ და, თითქო ჩემს სახლში ვყოფილ-ვიყვე. რო დესაც იცი, რომ შენს თავს მამულსა სწირა და როდესაც ემზადები იმისთვის სასიკვდილო მაშინ თვით დაღალვაც სასიამოვნოა კაცი თვის და ის არცა გრძნობს შიშსა თავის გულ

(*) დოქტორი ამ სიტყვებით დასცინის იმათ, ვინც ამტკიცებენ, რომ შავი კაცი, თავისის კინკრიხოს აგებულობის გამო, სრულებით უნიჭოა და მაღალს აზრებს ის ვერ შეიგნებს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го сентября 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.